



59

ბაღაყყვიტილება

საქართველოს სახელით

საქმე №3-646/10წ.

09 მარტი, 2011 წელი
ქალაქი ბათუმი

შესავალი ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლო

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე გონა ფუტკარაძე
სხდომის მდივანი ინეზა ტარიელაძე

მოსარჩელე
წარმომადგენელი

მოპასუხე
წარმომადგენელი

ბათუმის საქალაქო სასამართლო;
ლალი ქუთათელაძე;

დავის საგანი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა,
ქმედების დავალდებულება


აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1.

მოითხოვს ნაწილობრივად ბათილად იქნას ცნობილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის ლალი ქუთათელაძის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი, ამავე სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე მოითხოვს ბათუმის საქალაქო სასამართლოს დავალდებულებას

სასარჩელო განცხადებით



განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა ადმინისტრაციული ორგანოს მონაცემების დაუსტრიხავად.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი სარჩელს ცნობს. განმარტავს, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს ნაწილში არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და მათი დაუსტრიხავად გაცემა არ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს.

3. ფაქტობრივი გარემოებები


3.1. უღავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლების გაცემა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოსარჩელეს ნაწილობრავად უარი ეთქვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გასცა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მხარეთა პერსონალური მონაცემების გარეშე ანუ დაუსტრიხული სახით. მან თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება ისეთ კერძო საკითხებს, რომელიც არ უნდა იყოს ვინმესთვის ხელმისაწვდომი იმ პირთა წინასწარი თანხმობის გარეშე, ვისაც შეეხება გადაწყვეტილება, რადგანაც გადაწყვეტილება შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 მიმართვა.

3.1.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი მიიჩნია ნაწილობრივ უკანონოდ და იგი გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან. საჩივარის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მონაწილე საჯარო დაწესებულების ნაწილში დაუსტრიხავად. მიაჩნიათ, რომ საჯარო დაწესებულება დავის მიზნებისათვის არ შეიძლება იყოს უფლების სუბიექტი და მასზე არ ვრცელდება პირადი საიდუმლოების გამხელისაგან დაცვის უფლება.



სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

61

საჩივარი.

3.1.3. საჩივრის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რის საფუძველზეც ამავე სასამართლოს მენეჯერმა 2010 წლის 12 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც საჩივარი არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილებაში მენეჯერმა არ გაიზიარა საჩივრის არგუმენტი საჯარო დაწესებულების დავის მიზნებისათვის უფლების სუბიექტად ყოფნისა და მასზე პირადი საიდუმლოების გამხელისაგან დაცვის უფლებასთან დაკავშირებით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბერის გადაწყვეტილება. ს.ფ.

3.1.4. მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი და ამავე სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბერის გადაწყვეტილება უკანონოა მათი ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი აღძრა სასამართლოში. გარდა ამ აქტების ბათილად ცნობისა, მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დავალდებულება 2010 წლის 7 სექტემბრის №გ-

04/266-10 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა საჯარო დაწესებულებების მონაცემების დაუშტრიხავად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სასარჩელო განცხადება

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

დადგენილად მიჩნეული გარემოებები მხარეთათვის სადაო არაა.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2-ე მუხლი, 27-45 მუხლი, 60¹-ე მუხლის I და II ნაწილი.
- საქართველოს კონსტიტუცია.

6. სამართლებრივი შეფასება



6.1.1. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის I ნაწილის „მ“ პუნქტით საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

მოსარჩელე მოითხოვდა 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლებს. სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს მიერ მიღებული პროცესუალური აქტები ზაკ-ის მეორე მუხლის „მ“ პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციაა.


6.1.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლით საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

დასახეებული ნორმა მიუთითებს იმ ინფორმაციის საჯაროობაზე, რომელთა მიღება დასაშვებია დაბრკოლების გარეშე. დასახეებული ნორმით საჯარო ინფორმაციაა ყველა ინფორმაცია სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულის გარდა. ყველა სხვა ინფორმაცია საჯაროა და გარდა რიგი გამონაკლისი შემთხვევისა მოსარჩელეს უფლება აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოითხოვს მისი მიღება.

კანონი იცნობს საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების დასაშვებობასაც. კერძოდ საქართველოს ზაკ-ის 30-ე მუხლით გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მტკიცებულებათა ანალიზით დადგინდა, რომ მოსარჩელეთა მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციას, ასევე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომ ასეთი საჯარო ინფორმაციის გაცემა გასაიდუმლოებული იქნა რომელიმე ორგანოს მიერ.

6.1.3. ზაკ-ის 37-ე მუხლის I ნაწილით „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი“.



მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვდა იმ ინფორმაციას, რომელიც ინახებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელე თვლის, რომ 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჯარო ინფორმაციაა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოითხოვა მათი გადაცემა. მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა ინფორმაცია, კერძოდ 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ გადაწყვეტილებაში მონაწილე მხარეების მონაცემები მიჩნეული იქნა ისეთ ინფორმაციად, რომელიც შეეხება ისეთ კერძო საკითხებს, რომელიც არ უნდა იყოს ვინმესთვის ხელმისაწვდომი იმ პირთა წინასწარი თანხმობის გარეშე ვისაც შეეხება გადაწყვეტილება, რის გამოც მხარეთა მონაცემები მოპასუხის მიერ დაიშტრიხა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ფიზიკურ პირთა მონაცემები სწორად დაშტრიხა, მაგრამ საჯარო დაწესებულების ნაწილში თვლის, რომ მოპასუხის მოქმედება არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს, რადგანაც საჯარო დაწესებულება დავის მიზნებისათვის არ შეიძლება იყოს უფლების სუბიუექტი და მასზე არ ვრცელდება პირადი საიდუმლობის გამხელისაგან დაცვის უფლება. მთავარ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე დაეთანხმა მოსარჩელის ამდაგვარ მოსაზრებას. შესაბამისად სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს თავისდროზე სადაოდ გამხდარ გარემოებას, ანუ უნდა შეფასდეს საჯარო დაწესებულება დავის მიზნებისათვის შეიძლება იყოს თუ არა უფლების სუბიუექტი და მასზე ვრცელდება თუ არა პირადი საიდუმლობის გამხელისაგან დაცვის უფლება.

6.1.4. საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაციის დიფერენცირება, რომლებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში და დაყო ისინი რამოდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს. მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღება, ასევე, შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია ინფორმაციის მეოთხე ჯგუფი, რომელიც განსხვავებით 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებას გულისხმობს. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება კერძო პირის კერძო საკითხებს, ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და მისი განსაიდუმლოება შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ინფორმაცია შეეხება. ამდენად, ოფიციალურ წყაროებში არსებული პირის კერძო საკითხებს მიკუთვნებული მონაცემები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა

იყოს დაცული გამხელისაგან, რაც შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს, ასევე 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან დაცვის პრინციპს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ინფორმაციის პირადი საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისათვის კონკრეტული კრიტერიუმია კანონის მიერ მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და ის, რომ ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს, რომელთა მიმართ პირს უნდა ჰქონდეს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ფინანსებთან, ჯანმრთელობასთან, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასთან და სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონეა და მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს ქვეყნის უზენაესი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია. ამდენად, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება კერძო ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ავტომატურად გასაიდუმლოებული სახე და ასევე საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა საიდუმლოდ. ზაკ-ის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ამავე კოდექსის 27¹-ე მუხლი ადგენს პირის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი გადაწყვიტოს თავად. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება ემსახურება მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილების განხორციელებას და ამ მონაცემთა წრე თითოეული დაწესებულებისათვის კანონის მიერ მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამდენად, საჯარო დაწესებულებაში მოქალაქეთა შესახებ დაცული პერსონალური მონაცემების ის ნაწილი, რომელთაც დაცვის აბსოლუტური ხასიათი გააჩნიათ პირად საიდუმლოებას განეკუთვნება და მათი ღიაობა მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია დაშვებული. კონსტიტუციურ ნორმათა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებთან ერთობლიობაში ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული პირის შესახებ კერძო ხასიათის ინფორმაციის დაცულობის მიმართ ამ ნორმებს გააჩნიათ განსაზღვრულობის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირს უქმნის სამართლიან შეგრძნებას, რომ მის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად საიდუმლო ხასიათი გააჩნია, დაცული იქნება გამხელისაგან, გარდა მისივე თანხმობის ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1240(კ-08) გადაწყვეტილება).

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სასამართლო თვლის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ კერძო პირთა მონაცემების დაშტრიხვა სწორი ქმედებაა და მხარეები ამ საკითხზე არც დაობდნ თავიდანვე. დავის გარკვეულ მონაკვეთში სადაო ვახდა საჯარო დაწესებულების დაშტრიხვა.

6.1.5. ზაკ-ის 371 მუხლის I, II და III ნაწილით საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო



დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. 65

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.

სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება

სასამართლო განმარტავს რომ ზაკ-ის 271-ე მუხლი, 28-ე მუხლი და 371-ე მუხლი ადგენს პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევისა და დაცვის ვალდებულებას. ყველა პერსონალური მონაცემები არ წარმოადგენს ავტომატურად პირად საიდუმლოებას. თუ რომელი პერსონალური ინფორმაცია უნდა იყოს საიდუმლო ამას ადგენს ის პირი ვისაც ეს ეხება კონკრეტულად.

სასამართლო თვლის, რომ საჯარო დაწესებულების საქმიანობა ღია და გამჭვირვალეა. მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები საჯაროა და მისი გასაიდუმლოება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა დაუშვებელია. მოსარჩელე მოითხოვს მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ასახავს საჯარო დაწესებულების საქმიანობას 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებში. სასამართლო თვლის, რომ გადაწყვეტილებებში ადმინისტრაციულ ორგანოთა მონაცემების დაშტრიხვა არ შეესაბამება საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებს, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების ამსახველი გადაწყვეტილების მიღების უფლება უნდა ქონდეს ყველა სუბიექტს. ზაკის 271-ე მუხლი, 28-ე მუხლის და 371-ე მუხლი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ორგანოთა მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაუცემლობას და მათი მონაცემების გასაიდუმლოებას.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელეებს მისცეს საშუალება გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, ხელი არ შეუშალოს და შეუქმნას შესაბამისი პირობები ინფორმაციის გაცნობისათვის. მოსარჩელეს უფლება აქვს შეარჩიოს მტკიცებულებათა მიღების ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საჯარო ინფორმაცია მიიღოს ასლების სახით, გაეცნოს დედანში, მიიღოს ელექტრონული ფორმით და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ინფორმაციის მიღების ფორმის შერჩევა მოპასუხის უფლება არ არის. ასეთ უფლებას კანონი ანიჭებს მოსარჩელეს და შესაბამისად მას აქვს უფლება ისარგებლოს ამ უფლებით და თვითონ განსაზღვროს მიღების ფორმა.

სასამართლო თვლის, რომ სარჩელი მოპასუხის დავალდებულების ნაწილში საფუძვლიანია, ბათუმის საქალაქო სასამართლო უნდა დავალდებულდეს 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მოსარჩელეზე გასცეს დაუშტრიხავად, აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო თვლის, რომ სარჩელი დასახელებულ ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

6.1.6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601-ე მუხლის I და II ნაწილის საფუძვლებიდან. კერძოდ: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოსარჩელე თვლის, რომ მოპასუხემ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები. კერძოდ საჯარო დაწესებულება დავის მიზნებისათვის არ შეიძლება იყოს უფლების სუბიექტი და მასზე არ ვრცელდება პირადი საიდუმლოების გამხელისსაგან დაცვის უფლება. მიაჩნია, რომ საკითხის სწორად შეფასების შემთხვევაში მოპასუხე მას გადასცემდა გადაწყვეტილებების ასლებს და მათში არ იქნებოდა დაშტრიხული საჯარო დაწესებულებათა დასახელება.

მტკიცებულებათა ანალიზით სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჯარო დაწესებულებათა დასახელება არ წარმოადგენს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელთა გამხელისსაგან დაცვა ევალება მოპასუხეს. მართალია საჯარო დაწესებულების დასახელება პერსონალური მონაცემებია, მაგრამ მათი გამხელისსაგან მოპასუხე არ არის შეზღუდული. მისი ვადებულებაა მოსარჩელეზე გასცეს გადაწყვეტილებები, სადაც კერძო პირთა მონაცემები იქნება დაშტრიხული, მაგრამ თავისუფლების საკითხებზე საჯარო დაწესებულების მონაცემები საჯაროა და იგი სასამართლომ უნდა გასცეს დაშტრიხვის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის ლალი ქუთათელაძის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი, ამავე სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს და იგი ბათილად უნდა იქნას ცნობილი საჯარო დაწესებულებების დაშტრიხვის ნაწილში.



7. საპროცესო ხარჯები

67

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

იმის გამო, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

საქართველოს სსკ-ის 49-ე მუხლის I ნაწილით თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

დადგენილია, რომ მოპასუხემ მთავარ სხდომაზე სარჩელი სცნო, რის გამოც სახ. ბაჟის ოდენობა უნდა განახევრდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელეს 50 ლარი უნდა დაუბრუნდეს უკან, ხოლო სახ. ბაჟის სახით გადახდილი 50 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

ს ა რ ა ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-250-ე, მუხლებით და საქართველოს ადმინისტრაციული სკ-ის 1-4-ე და 19-ე მუხლებით.

გ ა ღ ა წ ყ ვ ი ტ ა

1.

სარჩელი

დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

– ბათილად იქნას ცნობილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსის ლალი ქუთათელაძის 2010 წლის 13 სექტემბრის №407 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი და ამავე სასამართლოს მენეჯერის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულებების დაუშვრის ნაწილში.

– ბათუმის საქალაქო სასამართლო დავალდებულდეს 2010 წლის 27 იანვრიდან 2010 წლის 01 სექტემბრამდე თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მოსარჩელეზე გასცეს დაუშვრისაგან.

2. მოპასუხეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს

სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ნაწილის

ანაზღაურება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3.

ბიუჯეტიდან უკან დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნოუპორტის ქუჩა №32), დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან



14 დღის განმავლობაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მისამართი:
ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30)

68

მოსამართლე:

გონა ფუტკარაძე

